# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1007

ქ. თბილისი

22/10/2019

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ანაკლიის საზღვაო ნავსადგურთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის და რკინიგზის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 და მე-9 მუხლების, ამავე კოდექსის I დანართის მე-9 და მე-11 პუნქტების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ზუგდიდის და ხობის მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ანაკლიის საზღვაო ნავსადგურთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის და რკინიგზის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N102 (16.10.2019 წ);
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 102 (16.10.2019 წ) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის და ხობის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი